ფეხბურთი

გუშინ, 9 ივნისს, ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონზე თბილისის “დინამოს” ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი შეხვდა კიევის “დინამოს”.

მატჩის დასაწყისში ორივე გუნდის კართან ხშირად იქმნებოდა კრიტიკული მომენტები. მეკარეები მარღანია (თბილისი) და ზუბრიცკი (კიევი) პირველივე წუთებში ჩაებნენ თამაშში. თბილისელებს იერიშები კიეველთა კარზე მეტწილად მარჯვენა მხრიდან მიჰქონდათ, სადაც ენერგიულად თამაშობდნენ ჯოჯუა, ანთაძე და ღოღობერიძე. მატჩის 23-ე წუთზე ღოღობერიძემ ბურთი მიიღო ცენტრში და კიეველთა საჯარიმო მოედანზე მიაწოდა ჯოჯუას. ამ უკანასკნელმა ბურთი შეუჩერებლივ გადასცა ანთაძეს, რომელმაც ზუსტი კუთხური დარტყმით გახსნა ანგარიში. პირველი ტაიმი დამთავრდა ანგარიშით 1:0 თბილისელთა სასარგებლოდ.

დაძაბული ბრძოლა არც მატჩის მეორე ნახევარში შეწყვეტილა. მე-20 წუთზე ფეხის დაზიანების გამო მოედნიდან გავიდა თბილისელთა ცენტრალური დამცველი ძიაპშპა, რამაც კიეველებს რამდენიმედ გაუადვილა საქმე. უკრაინელი ფეხბურთელები გრძელი გადაცემებით თავისუფლად მიდიოდნენ თბილისელთა საჯარიმო მოედნამდე, მაგრამ აქ ან ბურთს კარგავდნენ, ან არაზუსტად ურტყამდნენ კარში. მატჩის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე ანთაძემ ჯოჯუას მიერ მიწოდებული ბურთი ზუსტი დარტყმით გაიტანა კიევის “დინამოს” კარში.

მატჩი დამთავრდა თბილისის “დინამოს” გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

კარგად ჩაატარა მატჩი საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ე. საარმა (ტალინი).

“კომუნისტი”, 11 ივნისი 1950 წ.